№ 71 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. სამშაბათი, 30 მარტი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

სამშაბათს 30 მარტს

აბესალომ და ეთერი

ოთხშაბათს, 31 მარტს „გოფმანის ზღაპრები“. ხუთშაბათს, 1 აპრილს, მ. ი. ბაუერხაკის ბენეფისი. 1 ხალხთა ცეკვა. 2. სიზმარი ზაფხულის ღამეში. პარასკევს, 2 აპრილს, მეორე გასტროლი მიშელ დარიალის ნანობაშვილის „გუგენოტები“. 364

საქ. რესპ. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო

იძლევა იჯარით ხასტამბო სამუშაოებს

ხსენებულ სამუშაოთა აღებისა მსურველთ შორის დანიშნულია ფარული შეჯიბრება აპრილის 15-ს. დაწვრილებით პირობების გაგება და სამუყაოს გაცნობა შეიძლება სამმართველოში (რუსთაველის პროსპექტი № 43) ყოველ დღე, ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც სურს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, თავისი საბოლოო პირობები დახურულ კონვერტში უნდა წარუდგინოს სამმართველოს 15 აპრილის შუადღის 12 საათამდე. 360 3—3

ქალთა მე-7-დე წგ. ნიხოს გიმნაზიის საშეურნ. კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს, აპრილის 3-ს, ნაშუადევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო გაყიდვა ძველი პიანინოსი გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ. 13). ხელმეორედ გაყიდვა 7 აპრილს, 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში, იქვე შეიძლება დათვალიერება გასაყიდი პიანინოსი ყველ დღე 2—3 საათამდის.
3—1 605

ოფიციალური განყოფილება

კანონი.

დამფუძნებელი კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს კანონის დამატებისა.

1. 1919 წლის აპრილის 4-ს დამტკიცებული დამფუძნებელი კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს კანონის (კან. და მთავრ. განკარგ. 1919 წლის კრებული № 6, კანონი № 43) პირველ მუხლს დაერთოს მეორე შენიშვნად შემდეგი:

„ეს დებულება არა ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო ბანკის საბჭოსა და მის პრეზიდიუმის წევრებზე“.

2. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

კანონი

საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოსყიდვის უფლების გაუქმებისა.

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის მომქმედ სამოქალაქო კანონთა მე-X ტ. 1 ნაწ. მე-1346 1348, 1350, 1352, 1354, 1373 მუხ. და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების მე-1438-1449 მუხ.

2. მოისპოს წარმოება სასამართლოებში საგვარეულო მამულის გამოსყიდვის იმ საქმეებისა, რომელიც დაწყებულია 1918 წლის მაისის 26-ს შემდეგ. უკეთუ დამფუძნებელი კრების მიერ ამ კანონის მიღების დღემდე საქმე სულ არ არის განხილული, ან თუმცა განხილულია, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა 1918 წლის მაისის 26-მდე დაწყებული საქმეები დამთავრდეს მათის აღძვრის დროს მომქმედ კანონების მიხედვით.

3. დაუბრუნდეს მოსპობილ საქმის აღმძვრელს მის მიერ წარდგენილი გამოსაყიდი ფული და სიმტკიცის ბაჟი.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოსათვის საავადმყოფოს აღსადგენად 360.000 მან. სესხის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში სამას სამოცი ათასი (360.000) მან. ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოსათვის საავადმყოფოს აღსადგენად ერთის წლის ვადით ექვს (6) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ერთდროული სამ-სემესტრიანი უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსების ოთხსემესტრიან განმეორებით კურსებად გადეკეთებისა და კურს-დამთავრებულთათვის აგრონომის წოდების მინიჭებისა.

1. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ერთდროული სამ-სემესტრიანი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსები გადაკეთდეს ოთხსემესტრიან განმეორებით უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსებად.

2. მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს უფლება მიანიჭოს წოდება აგრონომ-მებაღისა, აგრონომ-მემინდვრისა და აგრონომ ზოოტექნიკისა (ცხოველთა მომშენებლისა) და მისცეს შესაფერი მოწმობა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსების წარდგენის თანახმად იმ პირთ, რომელთაც სასწავლო პროგრამის თანახმად გამოცდა ჩაუბარებიათ, ექვსთვიანი საზაფხულო პრაქტიკა გაუვლიათ, შესაფერი ანგარიში წარუდგენიათ და ამის გარდა, ერთის წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო დარგში უმუშავნიათ.

3. იმ პირთ, რომელთაც მიენიჭებათ წოდება აგრონომ-მებაღისა, აგრონომ-მემინდვრისა და აგრონომ-ზოოტექნიკისა, მიეცეთ უფლება დანიშნულ იქნენ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფერმებისა, სადგურებისა, მამულებისა და ქარხნების გამგედ და საზოგადოდ დაიჭირონ ისეთი თანამდებობა, რომლისათვისაც საჭიროა სპეციალი სასოფლო-სამეურნეო განათლება.

4. იმ პირთ, რომელთაც მიენიჭებათ უფლება აგრონომ-მებაღისა, აგრონომ-მემინდვრისა და აგრონომ-ზოოტექნიკისა, მიეცეს უფლება სასოფლო-სამეურნეო სკოლებში შტატის მასწავლებლის ადგილის მიღებისა სპეციალობის მიხედვით.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის წინასწარ ზომების მისაღებად 2,000,000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონი (2,000,000) მან. შავი სახადის სენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წინასწარ ზომების მისაღებად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

კანონი

რესპუბლიკის საპროფესიო და სატექნიკო სკოლათა შტატის და ხარჯთაღრიცხვისა.

1. აწინდელი შტატების ნაცვლად დამტკიცებულ იქნეს: ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სკოლისა, ტფილისის მიწათ-მოქმედების სკოლისა, ტფილისის საფერშლო სკოლისა, ბორჯომისა და ხონის სახელოსნო სასწავლებელთა და ფოთის სახელოსნო სკოლის დროებითი დებულებანი და თვითეულის ცალკე შტატი 1919 წლის ნოემბრის 1-დან.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისითვის გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად: ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სკოლისათვის ექვსას ჩვიდმეტი ათას ასი (617. 100) მან., ტფილისის მიწათ-მზომელთა სკოლისათვის ას სამოცდა სამი ათას ას ოცი (163,120) მან., ტფილისის საფერშლო სკოლისათვის ას ოცდა ცხრამეტი ათას შვიდას სამოცი (139,760) მან., ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლისათვის ორას ოცდა ცამეტი ათას სამას ოცდა ათი (233.330) მან., ხონის სახელოსნო სასწავლებლისათვის ორას თვრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდაათი (218.590) მან. და ფოთის სახელოსნო სკოლისათვის ას ოცდა ბერთმეტი ათას ას ორმოცდაათი (131,150) სულ ერთი მილიონი ხუთას სამი ათას ორმოცდა ათი (1,503,050) მან., ხოლო შვიდ თვეში 1919 წ. ნოემბრის 1-დან 1920 წლ. ივნისის 1-დე ტფილისის პოლიტექნიკური სკოლისათვის ორას სამოცი ათას ორას ოთხმოცდა სამი მან. (260.283) მ., 31 კ.), ტფილისის მიწათ-მზომელთა სკოლისათვის ოთხმოცდა ხუთმეტი ათას ას ორმოცდა ცამეტი მ. 31 კაპ. (95.153 მ. 31 კ.), ტფილისის საფერშლო სკოლისათვის ოთხმოცდა ერთი ათას ხუთას ოცდა ექვსი მ. 62 კაპ. (81,526 მ. 62 კ.). ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლისათვის ას ოცდა თექვსმეტი ათას ას ცხრა მან. 12 კაპ. (136,109 მ. 12 კ.), ხონის სახელოსნო სასწავლებლისათვის ას ოცდა შვიდი ათას ხუთას ათი მან. 81 კ. (127. 510 მ. 81 კ.) და ფოთის სახელოსნო სკოლისათვის სამოცდა თექვსმეტი ათას ხუთას ოთხი მან. 12 კაპ. (76,504 მ. 12 კაპ.) სულ შვიდ თვეში შვიდას სამოცდა ჩვიდმეტი ათას ოთხმოცდა შვიდი მან. 29 კაპ, (777,087 მ. 29 კ.).

3. გაღებულ იქნეს ერთდროულად ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სკოლის გასაფართოებლათ დამატებითი თანხას სამოცდა ერთი ათას ორას ოცდა შვიდი მან. 65. კაპ. (161,227 მ. 65 კაპ.).

4. აღნიშნულ სკოლებსა და სასწავლებლებში მოსამსახურე პირებზე გავრცელდეს 1919 წლ. მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს. ნოემბრის 28-ისა და თებერვლის 4-ის დეკრეტებით დაწესებული დამატებანი.

5. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 5-ს.

თამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დროებითი დებულება

ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური და ტფილისის მიწათ-მზომელთა სკოლების მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

1. პოლიტექნიკურისა და მიწათ-მოქმედების სკოლების დირექტორს აქვს არა უმეტეს ექვსი (6) გაკვეთილისა კვირაში; ინსპექტორს, აგრეთვე ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს, აქვს არა უმეტეს თორმეტი (12) გაკვეთილისა კვირაში.

2. დირექტორს თანამდებობისა და ექვსი (6) გაკვეთილისათვის მიეცემა თოთხმეტი ათას ოთხასი (14.400) მან. და ბინა, და აგრეთვე უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის. ინსპექტორსა და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს მიეცემა თანამდებობისა და თორმეტი (12) გაკვეთილისათვის თორმეტი ათასი (12.000) მან. და ბინა, უკეთუ ბინა არ არის—ფულად ათას რვაასი (1800) მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მანეთი თითეული ხუთწლეულისათვის.

შენიშვნა: დირექტორი, ინსპექტორი და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი არიან უმაღლეს სპეციალ განათლება მიღებული.

3. უკეთუ სკოლას პარალელი განყოფილება აქვს, დირექტორს, ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს თვითეული განყოფილებისათვის მიეცემათ განსაკუთრებული გასამჯელი: დირექტორს ასოცი (120) მან., ხოლო ინსპექტორს და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს ასი (100) მანეთი წლიურად.

4. სპეციალი საგნების მასწავლებელთ, უმაღლეს განათლება-მიღებულთ, თორმეტ ძირითად გაკვეთილში მიეცემათ ექვსი ათას ექვსასი (6.600) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეულის დამატებისა ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისთვის; თორმეტს (12) ზევით დამატებით გაკვეთილებში ხუთასი (500) მან. თვითეულში, ხოლო საზოგადო საგნების მასწავლებელთ, უმაღლეს განათლება-მიღებულთ, თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილში მიეცემათ ოთხი ათას რვაასი (4.800) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის; თორმეტს (12) ზევით დამატებით გაკვეთილში სამას ორმოცდა ათი (350) მან. თვითეულში.

5. სპეციალ საგნებში მასწავლებელთ, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილში მიეცემათ წლიურად ხუთი ათას სამასი (5.300) მ. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის; თორმეტს (12) ზევით დამატებითს გაკვეთილში ოთხასი (400) მან. თვითეულში, ხოლო საზოგადო განათლების საგნების მასწავლებელთ, რომელთაც უმაღლესი განათლება არა აქვთ მიღებული, თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილში მიეცემათ წლიურად სამი ათას რვაას სამოცი (3.860) მანეთი და

უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ხუთასი (500) მან. თვითეულ ხუთწლეულისათვის; თორმეტს (12) ზევით დამატებით გაკვეთილში ორას ოთხმოცი (280) მ. თვითეულში.

6. პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელს სპეციალი საგნებისას, უმაღლეს განათლებამიღებულს, თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილში მიეცემა ექვსი ათას ექვსასი (6.600) მანეთი და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის; თორმეტ (12) ზევით დამატებით გაკვეთილში ხუთასი (500) მან. თვითეულში, ხოლო არა უმაღლეს განათლებამიღებულ ხელმძღვანელს სპეციალი საგნებისას ხუთი ათას სამასი (5.300) მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა—ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის; თორმეტს (12) ზევით დამატებით გაკვეთილში ოთხასი (400) მან. თვითეულში; მემანქანეს და უფროს ოსტატს მიეცემა წლიურად რვა ათას ოთხასი (8.400) მან. და ბინა, ან მის ნაცვლად ათას ორასი (1200) მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ოთხასი (400) მან. თვითეულში; დანარჩენ ოსტატებს წლიურად მიეცემა შვიდი ათას ორასი (7.200) მან. და ბინა, ან მის ნაცვლად ათას ორასი (1200) მან. ფულად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ოთხასი მან. თვითეულში, ხოლო ურუს მცემელს წლიურად მიეცემა ექვსი ათასი (6000) მან. და ბინა, ან მის ნაცვლად ათას ორასი (1.200) მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ოთხასი (400) მანეთი თვითეულში.

შენიშვნა 1: საზოგადო განათლების საგნებად პოლიტეხნიკურ და მიწათ-მზომელთა სკოლებში ითვლება: ენები და ისტორია.

შენიშვნა 2: წერითი სავარჯიშოთა გასასწორებლად მასწავლებელს მიეცემა სამასი (300) მან. წლიურად თვითეული კლასისათვის.

შენიშვნა 3: ფიზიკურ, ქიმიურ და სხვა მცირე სპეციალ კაბინეტების გამგეობისათვის, ცდისა და პრაქტიკულ მეცადინეობათა საწარმოებლად ფიზიკისა, ქიმიისა და სხვა საგნის მასწავლებელთ მიეცემათ თვითეულს სამასი (300) მან. წლიურად თითო კლასისათვის, გეოდეზიურ, მექანიკურ მასალათა საცდელ და სხვა ძირითად სპეციალი საგნების კაბინეტების გამგეობისათვის მასწავლებელთ მიეცემათ ოთხასი (400) მან. წლიურად თვითეული კლასისათვის. ზაფხულის სავალდებულო პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელო გეოდეზიისა, საამშენებლო ხელოვნებისა, ბურღვა და სხვა საგნებში ეძლევათ თვიურად ათასი (1000) მან.

შენიშვნა 4: პედაგოგიურ საბჭოს მდივნობისათვის და ბიბლიოთეკის გამგებლობისათვის მასწავლებელთ მიეცემათ ექვსას-ექვსასი (600) მან. წლიურად.

შენიშვნა 5: თუ მასწავლებელი ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე მიზეზისა გამო სკოლაში არ მოვიდა, მის მაგიერ მიცემულ გაკვეთილში ერგებათ: უმაღლეს განათლებამიღებულს სპეციალი საგნის გაკვეთილში 10 მან. 41 კაპ. საზოგადო განათლების საგნის მასწავლებელს უმაღლეს განათლება მიღებულს 7 მ. 29 კ. სპეციალი საგნების მასწავლებელს, არა უმაღლეს განათლება მიღებულს 8 მ. 33 კ. ხოლო საზოგადო განათლების საგნების მასწავლებელს, არა უმაღლეს განათლება მიღებულს 5 მ. 83 კაპ.

7. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მუხლში აღნიშნული გაკვეთილთა რიცხვი, რომელიც მასწავლებელს აქვს ერთსა ან რამდენსაც სკოლაში არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ოცდა ოთხს (24).

შენიშვნა: დროებით, სამი წლის განმავლობაში, დღიდან ამ კანონის შემოღებისა, თუ საჭიროება მოითხოვს, ამ მუხლში (7) აღნიშნული რაოდენობა გაკვეთილებისა შეიძლება გადიდდეს, მხოლოდ ყოველ კერძო შემთხვევაში სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით.

8. ყოველი საგნის მასწავლებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს ქირით მასწავლებელი იმ პირობით, კი, თუ ამ უკანასკნელს ისეთი განათლება აქვს მიღებული, როგორც იმავე საგნების შტატის მასწავლებელს; ქირით მოწვეული მასწავლებელი მიიღებს გაკვეთილების მიხედვით ისეთ გასამრჯელოს, როგორიც დაწესებულია შესაფერი შტატის მასწავლებელთა დამატებითი გაკვეთილებისათვის.

9. შტატ გარეშე სამსახური, შტატის თანამდებობაზე დ მტკიცების შემდეგ ჩაეთვლება მასწავლებელს ხუთწლეული დამატებისა და პენსიის მ ისაღებად.

10. იმ პირს, რომელსაც შეუძენია უფლება საშუალო სკოლის მასწავლებლობისა ან საშინაო დამრიგებლისა, ან ახალი ენების მასწავლებლობისა, ნება აქვს ასწავლოს ეს ენები პოლიტეხნიკურ და მიწათ-მზომელთა სკოლების ყველა კლასებში. ამ მასწავლებელთა ჯამაგირი იგივეა, რაც საშუალო განათლების მასწავლებელთათვის.

11. საქმის მწარმოებელს, აღმზრდელს, მოანგარიშეს, სამეურნეო ნაწილის გამგეს და ფერშალს პოლიტეხნიკურ სკოლაში, ხოლო საქმის მწარმოებელს მიწათ-მზომელთა სკოლაში თანამდებობისათვის მიეცემათ დამატებისა ოთხასი (400) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

12. პოლიტეხნიკურ და მიწათ-მზომელთა სკოლებს ჰყავს თავისი ექიმი, რომელსაც წლიურ ჯამაგირად პოლიტეხნიკურში დაენიშნება სამი ათას ექვსასი (3.600) მან. ხოლო მიწათ-მზომელთა სკოლაში ორი ათას ოთხასი (2.400) მან.

13. პოლიტეხნიკურ სკოლის და მიწათ-მზომელთა სკოლის უფლებიან მასწავლებელს, თუ წინად მსახურობდა სამეცნიერო ან სასწავლო ასპარეზზედ, აგრეთვე მასწავლებლობდა პირველ დაწყებით სკოლაში, სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში ან სახელმწიფო და სხვა თანაბარ უფლებიან სკოლაში, ჩაეთვლება ხუთწლეული დამატების მისაღებად ყველა ის წლები, რომელიც უმსახურია სამეცნიერო და სასწავლო ასპარეზზედ და აგრეთვე მასწავლებლად პირველ დაწყებით სკოლაში.

14. სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელსაც უჭირავს შტატის თანამდებობა, სამსახურის დროს პენსია არ მიეცემა.

15. იმ პირს, რომელიც დაინიშნება სამსახურში პოლიტეხნიკურ და მიწათ-მზომელთა სკოლაში ნება მიეცეს წინდაწინ მიიღოს მესამედი ჯამაგირი, რომელიც შემდეგ გამოირიცხება წესდების კანონ. კრებ. ტომ. 3, გამოცემა 1896 წ. 216 და 217 მუხლების თანახმად.

16. ის პირი, რომელიც შტატის შემოღებისას არ მიიღებს ახალს დანიშნულებას, საერთო წესით შტატ გარეშე უნდა დარჩეს.

17. მოსამსახურეთა შვილები და აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათის (10) წლისა საშუალო პოლიტ ხნიკურ და მიწათ-მზომელთა სკოლებში, სწავლა-აღზრდის ნაწილში ან სპერიათ თანამდებობა ექიმისა, საქმის მწარმოებლისა, მოანგარიშისა, სამეურნეო ნაწილის გამგესი, ფერშლისა, ოსტატისა და პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელებისა განთავისუფლებულ იქნეს სწავლის ფულის შემოტანისაგან სახელმწიფო ქალთა და ვაჟთა სპეციალ და საზოგადო განათლების სკოლებში.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

—

დროებითი დებულება.

ტფილისის საფერშლო სკოლაში მოსამსახურე პირთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

1. საფერშლო სკოლის გამგეს აქვს არა უმეტეს თორმეტი (12) გაკვეთილისა კვირაში.

2. სკოლის გამგეს (ექიმს) თანამდებობისათვის მიეცემა ექვსი ათას ორასი (6200) მან. და ბინა აგრეთვე უფლება სამ ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო თორმეტი (12) გაკვეთილისათვის მიეცემა ოთხი ათას რვაასი (4.800) მან., ოთხასი (400) მან. თვითეულში.

3. საზოგადო განათლების საგნების შტატის მასწავლებელთ თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილისათვის მიეცემათ სამი ათას რვაას სამოცი (3860) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

შენიშვნა: თუ საზოგადო განათლების საგნების მასწავლებელი უმაღლეს სწავლა მიღებულია, მიეცემა თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილში ოთხი ათას რვაასი (4800) მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

4. თორმეტს (12) ზევით დამატებით გაკვეთილში ორას ოთხმოცი (280) მან. თვითეულში, ხოლო საერთო რიცხვი გაკვეთილებისა არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტს (18).

შენიშვნა: ყოველ კერძო შემთხვევაში თვრამეტზე (18) მეტი გაკვეთილის აღება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით.

5. წერითი სავარჯიშოს გასწორებისათვის ყოველი საგნის მასწავლებელს მიეცემა ორას ოთხმოცი (280) მან. თვითეული კლასისათვის.

6. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს მდივნობისა და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის თითო მასწავლებელს ეძლევა ოთხას ოთხმოცი (480) მან. წლიურად.

7. თვითეული კლასისათვის დაწესებულია თითო კლასის დამრიგებელი და ამ თანამდებობისათვის მასწავლებელს ეძლევა ათას რვაასი (1800) მან. წლიურად.

შენიშვნა: კლასის დამრიგებელს არა აქვს უფლება აიღოს გაკვეთილები სხვა სკოლებში.

8. სპეციალი სიგნების მასწავლებელს თვითეული გაკვეთილისათვის მიეცემათ ოთხასი (400) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

შენიშვნა: სპეციალი საგნების მასწავლებლად დაინიშნებიან უეჭველად ექიმები.

9. საფერშლო სკოლას ჰყავს თავის ექიმი, რომელსაც წლიურ ჯამაგირად დაენიშნება ორი ათას ოთხასი (2400) მან.

10. სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელთაც უჭირავთ შტატის თანამდებობანი, სამსახურის დროს პენსიას არ იღებენ.

11. იმ პირთ, რომელნიც დაინიშნებიან ტფილისის საფერშლო სკოლის მასწავლებლად, ნება ეძლევათ წინდაწინ მიეცეს მესამედი ჯამაგირი, ხოლო შემდეგ გამოერიცხოს წესდების კანონ. კრებ. ტომ. 3, გამოცემა 1896 წლ. 216 და 217 მუხლის თანახმად.

12. ის პირნი, რომელნიც აღნიშნული შტატის შემოღებისას არ მიიღებენ ახალს დანიშნულებას საერთო წესით, შტატ გარეშე უნდა დარჩნენ.

13. მოსამსახურეთა შვილები, აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათის (10) წლისა საფერშლო სკოლაში ან სპერიათ თანამდებობა ექიმისა, განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულის შეტანისაგან ყველა სახელმწიფო ვაჟთა და ქალთა სკოლებში.

1920 წ. მარტის 5-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

23 მარტის სხდომა.

სხდომას დაესწრენ: თავმჯდომარე—ნ. ჟორდანია. მინისტრები: რამიშვილი, არსენიძე, ლორთქიფანიძე, ხომერიკი, კანდელაკი, გეგეჭკორი. მინისტრთა ამხანაგები: ავალიანი, ქარცივაძე, ბახტაძე, ჭავჭანიძე, გედევანიშვილი, ჭიჭინაძე. სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი ანდრონიკაშვილი. ვაჭრობა-მრეწ. დეპარტ. დირექტორი ალშიბაია, გზათა დეპ. დირექტორი ჭიჭინაძე, იუსტ. დეპ. დირ. თან. აღ. გ. ჟორდანია. საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დიდებულიძე.

კანონ-პროექტი.

კანონ-პროექტი სამოქალაქო სასამართლოს წარმოების წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

სენატის ბრალმდებლის ამხანაგათ დანიშვნა.

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ბრალმდებელის ამხანაგად დაინიშნოს კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ჩივაძე.

კანონ-პროექტი.

კანონ-პროექტი სამხედრო უწყების შტატებში დამატება—ცვლილებათა შეტანისა მიღებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

წითელი ჯვრის საზოგადოების ეტიკეტების ტარების აღკრძალვა.

წითელი ჯვრის საზოგადოების ეტიკეტების ტარება უნებართვოთ აღკრძალულ იქნას.

დეკრეტის პროექტი.

დეკრეტის პროექტი საადგილ-მამულო ბანკების წესდების შეცვლისა და რწმუნებულთა კრების მოწვევის შესახებ წინასწარ განსახილველათ და მთავრობისათვის მოსახსენებლათ გადაეცეს კომისიას: ფინანსთა (თავმჯდომარე) შინაგან საქმეთა და იუსტიციის უწყებების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შინაგან საქმ. სამინისტროში

განკარგულება.

სამინისტროში მიღებული ცნობებით, ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა კავშირმა აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მათი ნივთიერი მდგომარეობა აუტანელია და რომ ამ მდგომარეობას უფრო ამწვავებს ერობა, რომელიც განათლების სამინისტროდან სასკოლო ხარჯების დასაფარავად მიღებულ ფულს ანდომებს სხვა საჭიროებას.

მთავრობის თავმჯდომარეს ასეთი მოვლენა დაუშვებლად მიაჩნია და ამ გარემოებას აქცევს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღებას.

სოფლების ერთი მაზრიდან მეორეში გადაწერა.

დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციამ, თანახმად დუშეთის მაზრის სოფ. ნოჯის, ნოჯიკეთის, ხეობის და დიკვიანის მცხოვრებთა რწმუნებულის თხოვნისა, შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ზემოხსენებული სოფლები გადაწერილ იქმნან თიანეთის მაზრაზე. სამინისტრო ამ საქმის შესახებ კრებს საჭირო ცნობებს.

გადასახადი.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საერობო განყოფილების მიერ მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ სენაკის მაზრის ს. ჯიმითის თემის გამგეობას შემოუღია სხვა და სხვა გადასახადი საქონელზე და ადამიანზე: ძროხა და ღორზე 10 მან., ცხვარზე 10 მან. და ადამიანზე, 20 წლიდან დაწყებული, 50 მან. მიწაზე შემოღებულ გადასახადებს ანაწილებენ უსამართლოდ, არა შეძლებისა დაგვარად, არამედ სოფლების მიხედვით.

ამ ცნობების გამოსარკვევად შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილება შეეკითხა სენაკის სამაზრო ერობას და წინადადება მისცა მიიღოს ზომები ჯიმითის თემის უკანონო მოქმედების აღსაკვეთად.

შუამდგომლობა

საქართველოს ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ყოფილი კავკასიის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების მთელი ქონება გადაცემულ იქნას მის განკარგულებაში.

ლტოლვილები.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ნება დაერთო აზერბეიჯანის ლტოლვილებს, რიცხვით 70 კაცს, შავი ზღვის გუბერნიიდან საქართველოს ტერიტორიით ბაქოში გამგზავრებისა.

ახალციხეში მეჩეთის და ციხის შენობების ძარცვა

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახალციხიდან დამფუძნებელ კრების წევრი ოსმან მიქელაძისაგან მიღებული დეპეშიდან სჩანს, ახალციხის მეჩეთის ციხის უპატრონო შენობებს ძარცვავენ ადგილობრივი მცხოვრებლები, მიაქვთ მინები, ჩარჩოები, კარები, ფანჯრები და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულია ზომები ბოროტ-მოქმედების აღსაკვეთად.

სიმინდის რეკვიზიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით ვანის თემის გამგეობა ახდენს სიმინდის რეკვიზიციას გლეხებს შორის და მიმართავს სასტიკ ზომებს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს.

დატუსალება

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით, თანახმად რაჭის მაზრის კომისრის დადგენილებისა, დატუსალებული იქნა და მოთავსებული ონის საპატიმროში,—მცხოვრები სოფელ გიგილაურში, (შორაპნის მაზრისა), ერემია სისოს ძე ჭიღლაძე, რომელსაც ბრალათ ედება მონაწილეობის მიღება ვარლამ თედორეს ძე გოცირიძის გატაცებასა და მოკვლაში.

გაძარცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით, სილნაღის მაზრაში გაუძარცვათ მოვარაგების სამინისტროს სილნაღის მაზრის რწმუნებულის აგენტი ბარნაბა ტურილიძე-მძარცველებს გაუტაცნიათ 72.000 მან.

შინაგან საქმეთა სანინისტროს მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენათ და შესაპყრობათ.

„სივოროტკის“ გატანის ნებართვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ნება დართო სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელს გაიტანოს საქართველოს საზღვრებიდან სომხეთში ერთი ათასი შუშა დივოერიტის საწინააღმდეგო სივოროტკა.

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ-ნ დე-მარტელი ბათუმში

24 მარტს ჩამოვიდა ბათუმში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ამიერ კავკასიაში დე-მარტელი.

საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა აცნობა ამის შესახებ ყველა კონსულებს ბათუმში და გადასცა მათ უმაღლეს კომისარის სურვილი, წარდგენოდენ სადარბაზოდ 25 მარტს 4 საათზე.

დარბაზობა.

საქ. წარმომადგენელი მ. ხოჭოლავა ეწვია უმაღლეს კომისარს დე-მარტელს 26 მარტს დილის 10 საათზე. მასთან ერთად წარუდგენ საქართველოს სამხედრო მისია გენ. ოდიშელიძის მეთაურობით რომელიც პარიზისკენ მიემგზავრებოდა, და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენელი—ჯემალ ქიკავა.

დარბაზობა გაგრძელდა ერთ საათს, რომლის დროსაც წარმოთქული იყო ორივე მხარიდან სიტყვები, რომელიც მოკლეთ მოგვყავს ქვემოთ.

საქართველოს წარმომადგენელ მ. ხოჭოლავას მიმართვა.

„გუშინ თქვენ წარმოგიდგენ ადგილობრივი კონსულები, მაგრამ თქვენ მათში ვერ ხედავდით საქართველოს რესპუბლიკის კონსულს. მართალია მე მყავს ჩემი თანამშრომელი ერთი პირი, რომელიც კონსულის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ ასეთი მდგომარეობა მე მიმაჩნია ისტორიულ გაუგებრობათ, რომელსაც, იმედი მაქვს, თქვენი დახმარებით მალე ბოლო მოეღება.

მართლაც, როგორია ჩვენი მდგომარეობა როდესაც ჩვენ, ჩვენს საკუთარ მხარეში გვ-ფლთება ძვირფას სტუმრის მიღება ისე, როგორც უცხოელებს, და ასეთია ჩვენი მდგომარეობა ბათუმში, ყველაზე უფრო გასაგები უნდა იყოს თქვენთვის, სპეტაკ საფრანგეთის შვილებისათვის, რომელნიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში დასტიროდით თქვენ გულიდან მოგლეჯილ ელზას-ლორენს.

და თუ ელზას-ლორენი იყო თქვენთვის ერთი უმშვენიერესი ყვავილი დანარჩენ ასეთსავე ყვავილთა თაიგულში, ჩვენთვის კი ბათუმი და მისი ოლქი არის ყვავილი ურომლისოთაც დასჭკნება არა მარტო საქართველოს სილამაზე, არამედ თვით მისი დამოუკიდებელი არსებობის აზრიც.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ყოველ ჩვენ შეხვედრას დიდებულ და ძვირფას საფრანგეთის წარმომადგენლებთან-ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით რომ თქვენ ყველას გესმით და თანაგრძნობით ეპყრობით ყოველ ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებებს. ამ ჟამად კი დადგა მომენტი, როდესაც გულწრფელობა პასსიურ სიმპატიურ სფეროდენ უნდა გადავიდეს აკტიურ სფეროში. ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა რწმენას რომ საფრანგეთი, რომელიც ყოველთვის კაცობრიობას ინიციატივობის მაგალითს აძლევდა, ამ საკითხშიაც მისცემს ისეთს იერს რომელიც დააჩქარებს სამართლიან მოთხოვნილების ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებას დაკმაყოფილებას.

ბ-ნ დე-მარტელის პასუხი.

მე ღრმად მადლობელი ვარ თქვენ მისალმების გამო და მასთან ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ ბათუმის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა ძალიან ძნელია, რადგანაც აქ გადახლართულია ბევრი სახელმწიფოთა ინტერესები. ყოველ-გვარ მოსალოდნელ გაუგებრობის თავიდან ასაშორებლად, უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა დროებით ბათომის და მის ახლო მცირე ზონის ნეიტრალობა. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მოხდება მომავალში. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ როგორც არ უნდა გადასწყდეს ეს საკითხი საქართველოს სუვერენული უფლებები დაცული იქნება მთელ ოლქის ტერიტორიაზე. მასთან ერთად მე მგონია, რომ ამიერ-კავკასიის ჰატარა სახელმწიფოების ინტერესები, რომელიც პირველად შეადგენდენ ერთ რესპუბლიკას და შემდეგ ისინი დაიყვნენ სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მოითხოვენ აუცილებელ დაახლოებას, მჭიდრო ურთიერთობას და შეთანხმებას, ვინაიდან ჩემის აზრით, მათი არსებობა ცალ-ცალკე მეტად გაძნელდება.

და ამ თვალსაზრისით ბათომის დროებით ნეიტრალობა, საქართველოსთვის უნდა სასარგებლო იყოს. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩემის მხრივ, შეუძლებელად ჩავთვალო აქ, ადგილობრივ, საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ თქვენი განცხადებანი აღნიშნული იქნება.

ამასთან ერთად შემიძლიან გაცნობოთ, რომ პარიზში საქართველოს საქმე დიდ სიმპატიას პოულობს ბ-ნ ჩხეიძის და წერეთლის ბრწყინვალე მუშაობის წყალობით, რომელთაც დიდი პატივისცემით ეპყრობიან პარიზში.

მ. ხოჭოლავას პასუხი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბათუმის საკითხის შესახებ, სწორე ინფორმაციის გაცნობის შემდეგ თქვენ შეგიძლიანთ უფრო გარკვეულად ჰ ვიმედოვნებ უფრო გარკვეულადაც გამოსთქვათ თქვენი აზრი საქართველოს სამართლიან მოთხოვნილების შესახებ.

რაც შეეხება მეზობელ სახელმწიფოების ეკონომიურ ინტერესების დაცვას თქვენ ტფილისში ჩაბრძანების შემდეგ ოფიციალური საბუთებით დარწმუნდებით, რომ ამ მხრივ საქართველო ყოველთვის ცდილობდა თავისი ინტერესები შეეფარდებია მეზობელ სახელმწიფოს ინტერესებისათვის და მათთან შეთანხმებით გადაეწყვიტა საერთო საკითხები. მეზობელ სახელმწიფოების ეკონომიური ინტერესები უსათუოდ იქნება დაცული ბათუმში და მის ოლქში ჩვენი სუვერენული უფლებების შენარჩუნებით.

გენერალ ოდიშელიძის სიტყვა.

მე მხოლოდ ორ სიტყვას ვიტყვი, როგორც საქართველოს ლაშქარის ძველი ჯარის კაცი, არ ვლაპარაკობ დიპლომატის ენით; მე მხოლოდ პირდაპირ და გარკვეულად შემიძლია ვთქვა, რომ ის რაც ათასწლობით ეკუთნოდა საქართველოს, ის მასვე უნდა მიეცეს მომავალშიაც. საკმარისია ყოტაოდენი გაიაროთ ოლქში, რომ თვითეულ ფეხის გადადგმაზე ნახოთ ძეგლები, რომლებით ნათლად და მჭერ-მეტყველურად ღაღადებენ, რომ აქ იყო საქართველოს აკვანი, რომ აქ აღორძინდა ქართველი ერის ნაციონალური კულტურა.

მეჯლისის წარმომადგენელის მისალმება.

შემდეგ მიესალმა ბ-ნ დე-მარტელს მეჯლისის წარმომადგენელი ჯემალ ქიკავა; რომელმაც აღნიშნა, რომ ეს მხარე, მიუხედავათ საუკუნოებისა, ყოველთვის ერთგული იყო ნაციონალური იდეიისა და ჩვენ, მაჰმადიანი ქართველები ვამაყობთ მით, რომ ჩვენი დედა-სამშობლო პირველად აქ ეზიარა კულტურით. აქ საქართველოს კულტურის აკვანია. აქ ყღეროდა რუსთაველის მაცოცხლებელი ჩანგი. ჩვენ ან სულ არ ვიარსებებთ ან უსათუოდ განუყოფელად უნდა ვიყოთ საქართველოსთან.

საუბრის ბოლოს ბ. დე-მარტელს და მ. ხოჭოლავას ჰქონდათ ერთმანეთში მეგობრული მუსაიფი და გამოთქვეს იმედი, რომ ბათომის საკითხი გადაწყდება საქართველოს ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით.

4—საათზე ბ. დე-მარტელი სადარბაზოთ იყო მ. ხოჭოლავასთან.

უორდროპის განმარტება

გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. ჰ. გეგეჭორმა შემდეგი წერილი მიიღო მისტერ ო. უორდროპისგან:

თქვენო აღმატებულებავ!

როგორც მოგეხსენებათ, მე არა ერთხელ ვყოფილვარ იმის წინააღმდეგი, რომ პრესსაში არ ყოფილიყო ის განცხადებები გამოქვეყნებული, რომელსაც მე მაწერენ—ვიდრე ეს ჩემ მიერ არ იქნებოდა ნება დართული და თქვენც, თქვენო აღმატებულებავ, აღმითქვით ამის წინააღმდეგ ზომების მიღება.

მე სავსებით არ შემიძლიან ვუაჰრყო ყველა ეს განცხადებები, მაგრამ მინდა შეგატყობინოთ რომ ეს განცხადებები სწორე არ არის და ხშირად ბადებს გაუგებრობას.

ტფილისის გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს ჩემი პასუხი, რომელსაც მე მაწერენ, პროფესიონალურ კავშირთა დეპუტატების მიმართ, რომელიც ა. ხელაძის ხელმძღვანელობით იყვნენ შეკრებილნი 19 მარტს. ეს ცნობები სრულიად ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს და არც ერთი ცნობა არ არის მართალი. ასეთ პირობებში მე საჭიროდ ვთვლი აქვე გაახლოთ ასლი კონსპექტიურად აღნუსხნული ჩემი განცხადებისა, რომელიც იქმნა შედგენილი პროფესიონალურ კავშირთა დეპუტატების პასუხის შემდეგ რასაც დაადასტურებს ბ-ნი ვახტანგ ლამბაშიძე. მე არავითარი დაპირებანი არ მიმიცია და არც გამიკრიტიკებია მოქმედება გენერალი კუკ-კოლლისისა, რომლის წინააღმდეგ მიმართულია განზრახ უსაფუძლო თავდასხმა, რის გამო მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ.

მოუსმინე რა დეპუტაციას, რომელმაც გადმომცა რეზოლუცია, მე ვსთქვი:

1) მე სავსებით არ ვარ გაცნობილი მათ უდიდებულობის და უმაღლეს საბჭოს პოლიტიკას, ვინაიდან ლონდონიდან გამოგზავნილი დეპეშები დაგვიანებით მოდის, ხანდისხან 6—8 კვირა იგვიანებს. როგორც ეს მოხდა ორ დეპეშებზე, რომელნიც მხოლოდ გუშინ მივიღე. ყოველივე ის, რაც მე შემეძლო მეთქვა—ეს ის არის რაც მე 29 თებერვალს შევატყობინე საქართველოს მთავრობას, რომ შემდეგ შეთანხმებამდე ბათუმი უნდა ეჭიროს გარნიზონს, რომელშიაც შედიან ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარები და მე მეგონა რომ ამით შემეძლო მიმელოცნა მათთვის. ისინი დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ იმაში, რომ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება იქნება სამართლიანი და თუ მათ ექნებათ რაიმე საბაბი უკმაყოფილებისა, მაშინ მათ ყოველთვის შეუძლიათ საკითხის დასაკმაყოფილებლად მიმართონ ხალხთა ლიგას.

2) თუ გავითვალისწინებთ იმ ეხლანდელ ცნობას, რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ საფრანგეთის და იტალიის მისიებისაგან, იმის შესახებ, რომ ბათუმი უნდა იყოს თავისუფალ პორტად ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ, მე არ ვხედავდი ამაში უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებს, საქართველოს ხალხის მხრივ. პირიქით, უნდა გახარებოდათ მათ რომ ბათუმი იქნება იმისთან პრივილეგიებით აღჭურვილი, რომლითაც საქართველო უფრო დაუახლოვდება დასავლეთ.

3) მგონია „პორტო-ფრანკო"ს ტერმინის გარშემო არის გაუგებრობა რომელსაც ფისკალური მნიშვნელობა აქვს ვიდრე პოლიტიკური. თეორიაში არაფერია ისეთი რომ შეეძლოს ხელის შეშლა ხალხთა ლიგას ბათუმის საქართველოზე მანდატის ჩაბარებისათვის მით უმეტეს, თუ დეპუტაცია დაამტკიცებს რომ ქალაქის და ოლქის მცხოვრებთა დიდ უმეტესობას სურს იყოს საქართველოს პოლიტიკურ ნაწილად. ბათუმი უკვე იყოს თავისუფალ პორტად დროებით 1878 წელში.

4) პრესის მტრული ცნობები იმის შესახებ ვითომ აზერბაიჯანს და სომხეთს ქონოდეს ჩემთან საიდუმლო დიპლომატიური მოლაპარაკება საქართველოს კანონიერ ინტერესების წინააღმდეგ—სიცრუეა: აზერბაიჯანი და სომხეთი სამართლიანად მოითხოვდნენ, რომ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის შემდეგ, მათ ეკონომიური ინტერესები დაცული ყოფილიყო და რამდენათაც ვიცით ისინი არ თხოულობდნენ არავითარ პოლიტიკურ პრივილეგიებს და ხელის უფლებას, რომელსაც შეეძლოს წინასწარ რაიმე მტრულ განწყობილების ამბოხების გამოწვევა მეზობელ სახელმწიფოებს და მოკავშირეთა შორის.

5) ყოველივე მღელვარებას ჩემის აზრით, საფუძვლათ უდევს საქართველოს მტრების მახინაცია; ამ ხალხის მიზანია მცხოვრებთა აღელვება და ამით რესპუბლიკის დაცვაზე ხელის აღება.

ო. უორდროპი.

ტფილისი, მარტის 21, 1920 წ.

უცხოეთი

გენ. დენიკინი.

ნოვოროსიისკიდან ჩამოსულნი „ჰრაგა"-ს გემით, გადმოგვცემენ რომ გენერალი დენიკინი ამ ჟამად იმყოფება ნოვოროსისკში და არა იალტაში, როგორც ამას გაზეთები იტყობინებიან.

მახნოს რაზმი.

„ბატკო" მახნოს უარი განუცხადებია ბოლშევიკებთან კავშირის დაჭერაზე. ის ამ ჟამად ბოლშევიკების წინააღმდეგ აგიტაციას აწარმოებს. მახნოს რაზმი წინ მიიწევს. მან უკვე დაიჭირა ქ. სუმი.

კრონპრინცი.

ჰოლანდიის მთავრობის დეკრეტით ყოფილ კრონპრინცის საცხოვრებელ ადგილად ამოურჩევიათ რიერნინგენის კუნძული.

ახმედ რიზა-ბეი.

ოსმალეთის სენატორი ახმედ რიზა-ბეი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ქ. პარიზში განსაკუთრებულ მისიით, დეპეშით ატყობინებს ოსმალეთის სენატს, რომ თავის თანამდებობას თავს ანებებს. მიზეზი თანამდებობიდან გადადგომისა არ არის გამორკვეული.

არეულობა კრასნოვოდსკში.

კრასნოვოდსკში შიმშილობის ნიადაგზე არეულობა და შეტაკება მოხდა მცხოვრებთა და წითელ არმიელებს შორის.

გაფიცვა ინდოეთში

ბომბეის კორესპონდენტის გადმოცემით ბამბის ქარხნის მუშების გაფიცვის გამო, ბოლაპურში შეტაკება მომხდარა; მუშებ და ჯარის შორის. მუშათა უკმაყოფილება იზრდება აგრეთვე ინდოეთის სხვა კუთხეებშიაც. ყველგან თხოულობენ ხელფასის მომატებას.

მოძრაობა ეგვიპტეში

22 თებერვალს ქ. ქაირში შაფიკ-ფაშასთვის მიწად-მოქმედების მინისტრისთვის, როდესაც ის სამინისტროში მიემგზავრებოდა ბოროტ-გამზრახველთ გადაეგდოთ ყუმბარა, შაფიკ-ფაშას ყუმბარა არ მოხვედრია და გადარჩენილა უვნებლად. ყუმბარის გადამგდები ყოფილა ვინმე მოწაფე. საერთოდ ბოლო ხანში ეგვიბტეში პატარ-პატარა მღელვარება იჩენს ხოლმე თავს. ამ რამდენიმე ხნის წინად ქაირში გამართული ყოფილა მანიფესტაციები მტრული განზრახვით მთავრობის წინააღმდეგ, მთავრობა ფხიზლად არის ამის გამო და ქაირში გამოსვლის მოლოდინითის იარაღით ხილში დახვდება მეამბოხეებს.

რკინის გზაზე

საჭიროა მეტი სიფხიზლე, პასუხისმგებლობა.

არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ ის არა სასურველი და სახიფათო მოვლენანი, რომლებთაც დღეს სისტემატიურად აქვთ ადგილი ჩვენს რკინის გზაზე. საერთოდ რკინის გზის შესახებ საკმაოდ იწერება ჩვენ პრესაში მოხელეების არა საკადრისი საქციელისა უწესრიგობაზე და სხვ., მაგრამ არ იქნა დღემდე ამას მაინც არაფერი ეშველა. თუ „ლოთი" მატარებელში წესრიგს ვიწუნებდით, მას ხშირად არც დარბაისელი დიდი ლიანდაგის მატარებელი რჩება მაგრამ დავანებოთ თავი ზოგიერთ წვრილმალ წესრიგიანობის საკითხს. განსაკუთრებით ამ ჟამად ჩვენ ყურადღებას იპყრობს მატარებლების დაჯახება, რასაც შედეგათ ახლავს აუარებელი ზარალი და ხშირად ადამიანთა მსხვერპლიც კი; ამ დაჯახებებმა უკეთ რომ ვსთქვათ, მატარებლის „დამსხვრევამ ამ ბოლოს მაინც პირდაპირ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. წინაც ხდებოდა, ასეთი სამწუხარო შემთხვევები რკინის გზაზე, მაგრამ ასე ხშირათ კი არასოდეს. ეს იმ დროს, როდესაც, თვითეული ორთქლმავალის, თუ ვაგონის დამსხვრევას თუ დაზიანებას საკმაოდ დიდი ზარალი მოაქვს სახელმწიფოსთვის, მაგრამ ესმით კი ეს ზოგიერთ უპასუხისმგებლო რკინის გზის მოხელეებს?. დიახ, მოხელეებს, რადგანაც ჩვენ აქ სხვის დანაშაულობას ვერ ვხედავთ. არ შეიძლება მოხდეს ისეთი კატასტროფა რკინის გზაზე, რომელშიც ცოტათ თუ ბევრათ ბრალი რკინის გზელსაც არ ედებოდეს. დამნაშავე იქნება უსათუოდ ან მემანქანე, ან სადგურის უფროსი, ან კიდევ უფრო დიდი უფროსი, ან მეისრე, ერთი სიტყვით, რომელიმე დარგის რკინის გზის მოხელე. რასაკვირველია, ჩვენ ამ შემთხვევაში არა გვაქვს სახეში ბოროტ-მომქმედთა მიერ რკინის გზის აყრა მატარებლებზე თავდასხმის და მისი დამსხვრევის მიზნით, ასეთი უბედურება გამონაკლისათ უნდა ჩაითვალოს, თუმც ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიაც კარგ რკინის გზის მუშაკს, როგორც ამ ბოლო ხანებშიაც ამის არა ერთი მაგალითიც იყო, შეუძლია თავის გამჭრიახობით, გაორკეცებული ენერგიით, თავგანწირვით თუ სულ არა, რაოდენიმეთ მაინც შეამსუბუქოს მოსალოდნელი უბედურება. მაგრამ ისეთი მოვლენა, როგორიც არის ზესტაფონის სადგურიდან ნავთით სავსე ცისტერნის სვირის სადგურამდე „გაქცევა", და იქ მისი მატარებელზე დაჯახება, ეს არ ჩაითვლება გამონაკლისათ თუ ბუნებრივათ.

ეს და სხვა მრავალი ასეთი სახიფათო შემთხვევები შედეგია მხოლოდ და მხოლო ზოგიერთი რკინის გზის მუშაკთა უყურადღებობისა, და დაუდევრობის, ხშირად სიზარმაცისაც კი.

დღემდი დამნაშავე რკინის გზელთ დასასჯელათ მაღალ სამსახურიდან დაბალ სამსახურზე ჩამოაყენებდენ ხოლმე, უკიდურეს შემთხვევაში სამსახურიდან გადააყენებდენ. მაგრამ ეს ცოტაა, ძალიან ცოტა და ეს კარგად შეუგნია გზათა დეპარტამენტის დირექტორსაც, რომლითაც როგორც პრესაში გამოქვეყნებულ ცნობიდან სჩანს მას განუზრახავს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა. ფრიად მოსაწონი განკარგულებაა. დამნაშავისათვის ცოტაა სამსახურიდან გადაყენება, ის უსათუოდ უნდა დაისაჯოს. ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი დისციპლინა და ხალხის ინტერესები. უვარგის მოხელეს ადგილი არ უნდა ქონდეს ჩვენ სახელმწიფოს მომქმედ ორგანოს არც ერთ დარგში, რადგანაც ის სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანს სახელ-

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას“ კანტორა აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან გაზეთი ეღირება თვიურად **70 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. **განცხადების ფასი**: პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. ტექსტის შემდეგ—3 მ. 50 კ. სამგლოვიაროდ. განცხადება ჩვეულებრივი ზომის 140 მან. ნისია განცხადებებზე გადახდება ნიხრზე მეტი 20 პროცენტი. ვისაც გაზეთი უკვე გამოწერილი აქვთ უნდა გადაიხადონ 1 აპრილიდან დამატებითი ფასი.

შწიფოს. სახელმწიფოს თვითეული მოხელისათვის საჭიროა პასუხისმგებლობის კულტურის შეგნება, მაგრამ ეს უფრო აუცილებელი საჭიროა რკინისგზელ მუშაკისთვის, რომლის მოვალეობის აღსრულებაზე ხშირად დამოკიდებული, რაოდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე. მეტი კულტურული მუშაობა მართებს, როგორც რკინის გზის ადმინისტრაციას, ისე პროფესიონალურ კავშირებს რკინის გზაზე მომუშავეთა შორის. კულტურული, ვამბობთ ჩვენ, რადგანაც თავის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეუგნებლობა, მხოლოდ უმეცრების, უკულტურობის შედეგია. სახელმწიფო მაშინ აღორძინდება, მაშინ აშენდება მკვიდრ ნიადაგზე, როცა თვითეულ მოქალაქეს, და განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მოხელეს სავსებით შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა თუ მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. იცის თუ რას მოითხოვს მისგან სახელმწიფო, და ან მან რა უნდა მოთხოვოს სახელმწიფოს.

თუ შეისრე ან სადგურის უფროსი თავის ადგილზე არ არის, რაც უნდა კარგი ადმინისტრაცია თუ დეპარტამენტი იყოს, მაინც ვერ შესძლებს საქმის კეთილად მოგვარებას; ადმინისტრაციამაც ყოველივე ზომები უნდა მიიღოს, რომ განწმენდილ იქნას რკინის გზა უვარგის მოხელეებიდან დამნაშავის პასუხის გებაში მიცემით. ამ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირიც გვერდში უნდა ამოუდგეს მას და დაეხმაროს რკინის გზაზე სრული წესრიგის დასამყარებლად. საჭიროა მეტი სიფხიზლე, პასუხისმგებლობა..

გუდწრფელი.

რესპუბლიკის მცხოვრებთა აღწერა

(ქალაქების თვითმმართველობათა და სამაზრო ერობათა გამგეობების საყურადღებოდ)

სამხედრო მინისტრის განკარგულებით გენერალურ შტაბმა აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ამ უკანასკნელს გაეცა ბრძანება სათანადო დაწესებულებათა მიმართ დაჩქარებით მოეხდინათ რესპუბლიკის მთელი მცხოვრებთა აღწერა 1920 წლის 1-ლ იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამა წლის 22 იანვარს, № 1618 დაუგზავნა საყოველთაო მოწერილობა ხსენებულ აღწერის შესადგენ ფორმის თანდართვით რესპუბლიკის ყველა ქალაქების თვითმართველობათა და სამაზრო ერობათა გამგეობებს, რომლით მოითხოვდა გენერალური შტაბის შუამდგომლობის დაუყონებლივ დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, უკვე მესამე თვე მიდის და გენერალურ შტაბს აღნიშნული ცნობები ჯერ-ჯერობით მიაწოდა ზემოხსენებულ დაწესებულებათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა და ისიც ისე უსწოროთ შედგენილი, რომ მით ხელმძღვანელობა ყოვლად შეუძლებელია: ზოგიერთ დაწესებულებებს ეს ცნობები გადმოულია ძველთა-ძველ „Кавказскій календарь“-იდან, ზოგს ვამოუტოვებია მთელი რაიონი და სხვ...

ამ აღწერას მჭიდრო კავშირი აქვს მუდმივ ჯარის მოწყობის საქმესთან; რესპუბლიკის მცხოვრებთა სწორი რიცხვი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მორიგ გაწვევისა და მოლაშქრე-სათადარიგო ჯარისკაცთა აღრიცხვის წარმოების დროს. ამის გამო სათანადო დაწესებულებები ვალდებულია საგანგებო ყურადღება მიაქციონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ განკარგულებას და მტკიცეთ შეასრულონ ის. აღწერის სწორად და ნაყოფიერათ ჩატარებისათვის საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი წესრიგი:

1) აღწერა ეხება, როგორც ქალაქებს, ისე მაზრების მცხოვრებთ;

2) თუ ქალაქი დაყოფილია რაიონებათ, უნდა აღინიშნოს ცალ-ცალკე რაიონის მცხოვრებთა რიცხვი ქალაქის მცხოვრებთა მთელი რიცხვის საერთო ჯამის შედგენით;

3) ამავე სახით ხდება აღწერა მაზრაში თემთა მიხედვით. ის მაზრა, რომელიც ჯერ არ არის თემებათ დაყოფილი, აღწერას ახდენს ძველად დაყოფილ საზოგადოებათა მიხედვით;

4) აღწერა უნდა მოხდეს მცხოვრებთა რიცხვის ნამდვილი მდგომარეობის მიხედვით. უკანასკნელ ორ-სამ წლის განმავლობაში რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვი დიდათ შეიცვალა და ამის გამო ყოვლად შეუძლებელია ძველი აღწერით ხელმძღვანელობა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის ყველა უბანთა და მაზრის შემადგენელ თემთა რიცხვის სისწორეს. ერთერთ ამათაგანის გამოტოვება მთელ აღწერას უვარგისათ გახდის;

5) აღწერის ფორმა ასეთი უნდა იყოს:

ცნობა

ქალაქ №-ის, ან №-ის მაზრის მცხოვრებთა რიცხვის შესახებ.

(შედგენილია 1920 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით; თანახმად მთავრობის შოამბე-გაზეთ „საქართველოს რესპუბლ.“ № განმარტებისა).

№ № რიგზე.	უბნის ან თემის სახელწ.	ორივე სქ. მცხ. რიცხვი.	ფოს. მისამ. უბნ. ან თემ.	შენიშვნა
1 2 და სხ.				
სულ.				

6) თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოხსენებულ საყოველთაო მოწერილობისა, აღწერას ახდენენ და ცნობებს უგზავნიან პირდაპირ გენერალური შტაბის სამობილიზაციო ნაწილის უფროს შემდეგი ქალაქის თვითმართველობათა გამგეობები: 1) ტფილისის, 2) გორის, 3) დუშეთის, 4) კოჯორის, 5) სიღნაღის, 6) თელავის, 7) ახალქალაქის, 8) ხაშურის, 9) სურამის, 10) აბასთუმანის, 11) ბორჯომის, 12) შულავერის, 13) მანგლისის, 14) ახალციხის, 15) ქუთაისის, 16) ფოთის, 17) ოზურგეთის, 18) ზუგდიდის, 19) სენაკის, 20) ონის, 51) ყულევის (რედუთ-კალე), 22) ხონის, 23) სამტრედიის, 24) ჭიათურის, 25) ლანჩხუთის, 26) სოხუმის, 27) გუდაუთის, 28) ოჩემჩირის, 29) გაგრის და სამაზრო ერობათა გამგეობები: 1) ტფილისის, 2) გორის, 3) სიღნაღის, 4) დუშეთის, 5) თელავის, 6) ბორჩალოს, 7) თიანეთის, 8) ახალციხის, 9) ახალქალაქის, 10) ქუთაისის, 11) შორაპნის, 12) ლეჩხუმის, 13) რაჭის, 14) სენაკის, 15) ზუგდიდის, 16) ოზურგეთის, 17) კოდორის, 18) გუმისტის, 19) სამურზაყანოს და 20) გუდაუთის.

საქმის მდგომარეობა მოითხოვს ეს აღწერა სულ მოკლე ხანში დამთავრდეს და სწორი ცნობები დაუყონებლივ გაიგზავნოს კუთვნილებისამებრ.

ა—ნი.

სხვა და სხვა

დამფუძნებელ კრების განათლების კომისიაში სამხედრო მინისტრმა წარადგინა ახალი პროექტი, ხსენებულ სამინისტროსთან არსებულ კულტურულ განმანათლებელ სექციის შტატების და ხარჯთაღრიცხვისა. ამ პროექტისთვის საჭიროა გადაიდოს ხაზინიდან 3,061,975 მან.

◆ გორის ქალთა გიმნაზიაში 27 მარტიდან განახლდა მეცადინეობა. გიმნაზია მოთავსებულია ტფილისის ქალთა მეორე გიმნაზიაში. მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 2 საათიდან.

◆ გამოვიდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგი (12) ნომერი მრავალის მასალით. ნომერში, სხვათა შორის, დაბეჭდილია სრული პიესა „დედა კაცის ათას ერნი ოინი“, კომედია აღმოსავლეთის ცხოვრებიდან. ფასი 15 მან. შემდეგი ნომერი „თეატრი და ცხოვრება“-სი იქნება საიუბილეო, ჟურნალის ათის წლის არსებობის აღსანიშნავად. ნომერში მოთავსებული იქნება ჩვენი დამსახურებულ მწერალთა წერილები, სურათები და სხვ.

◆ ახლო მომავალში ტფილისში მოიწვევენ ფარმაცევტთა მეორე ყრილობას. ამისთვის გამგეობის მიერ არჩეულია კომისია, რომელსაც დაევალა ამ საქმის ორგანიზაცია. ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ მეორე ქართულ კლუბში მამასახლისთა ინიციატივით 3 აპრილს გაიმართება ბ. ბარნოვის საიუბილეო საღამო. საღამოს წმინდა შემოსავალი გადაეცემა იუბილიარს.

◆ დღეს, 30 მარტს. საღამოს 7 საათზე ქართ. სამუსიკო კოლეგია იწვევს თავის წევრებს და ყველა ქართველ მუსიკოსებს კრებაზე, რომელზედაც განხილული იქნება საოპერო სტუდიის და კაპელას რეორგანიზაცია, რათა საერთო ძალით სასურველ და მტკიცე ნიადაგზე დაამყარონ ქართ. საოპერო სტუდია და კაპელა (პეტრე დიდის ქ. № 8) ქარ. სამუს. საზ.

◆ ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემანი:

1) ოთარაანთ ქვრივი—მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა, 2) საყმაწვილო მოთხრობები, I წიგნი ვაჟა-ფშაველასი, 3) როგორ ცხოვრობდენ ძველად ადამიანები—კურდიავსკის წიგნი, ის. კვიკარიძის თარგმანი, 4) ლექსები პაწია ბავშვთათვის შ. მღვიმელის I წიგნი.

განცხადებანი

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი შესაძენად 1909 ან 1910 წელში გრიგორი ვასილის ძე დანილოვისაგან ხაზინიდან სახაზინო მამულების და იჯარით გასაცემ ადგილების მეთვალყურის სახით ბათუმის ოლქის მე-7 რაიონისა ლიპინსკისაგან სახაზინო მიწის ნაწილის, რომელიც შესდგება „ზელიონნი მისის“ („Зеленный мысъ“) მდებარეობაში მახინჯაურის ავარაკში კინტრიშსკის ნაწილში ბათუმის ოლქის და ეს ნასყიდობის წერილი ჩანიშნულია გეგმით № 9, მობეგრე წიგნში № 2/42, 2271 კვ. საჟნის სივრცით, შემდგარია ბათუმის ნოტარიუსთან. 555 3—1

დაიკარგა პასპორტები მიღებული ახალციხის სამმართველოდან. 1. გრიგორ მუთაფინის და გაიანე მუთაფინის სახელზე. 2. შულაკოტ საიკას ასული ნაზარეტიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

572 3—1

გრიგოლ დათას ძე ცირკვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან № 23300. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 573 3-1

ალექსანდრე გრიგორის ძე მელქუმაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვაჭრობის ნებართვა № 771, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან და ქალაქის კასაში 1500 მან. შეტანის კვიტანცია. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 375 3—1

დავით ბოგდანოვის ძე ავან-იუზბაშევმა დაჰკარგაგირავნობის მოწმობა, რომელიც უნდა წარედგინა გირაოდ სააქციზო გამგეობაში, რომელიც დამტკიცებული იყო უფროსი ნოტარიუსისგან ტფილისის ოლქის სასამართლოსი 1910 წ. 15 ოქტომბრის თარიღით № 2306. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

576 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ხარიტინა მიხეილის ასული ხურდენკოს სახელზე, დამტკიცებული უმცროსი ნოტარიუსი მიტკევიჩთან 1911 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

579 3—1

კავკასიის სინოდალური კანტორა თანახმად მისი დადგენილებისა 17 მარტის 1920 წ. № 99 იწვევს მიტროფანე ტიმოფეის ძე ნიკოლაევს სინოდალურ კანტორაში, რომ კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გაზეთში მოთავსებისა, კანტორის მიერ მისა და მის მეუღლის ალექსანდრა ნიკოლაევის განქორწინების შესახებ გამოტანილ დადგენილების ხელის მოსაწერათ. წანაალმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ვადაში გამოუცხადებლობის გამო, დადგენილება № 99 შესრულებული იქნება. 536 3—

სილიბისტრო გიგოს ძე ბუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მუდმივი პასპორტი სოფ. ლანირის (ქუთ. გუბ.) საზოგადოების სამმართველოდან 1912 წელში № 279. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 525 3—1

პავლე პეტრეს ძე გოგნიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის საბჭედრო უფროსისგან 1919 წ. 23 ივნისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 567 3—1

ლუკა ვლადიმერის ძე სამხარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შერეული ორ კლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და ატესტატი, მიღებული საჩხერის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 568 3—1

ალექსანდრე სერგოს ძე ზურაბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიციის სამმართველოდან № 876. 8 დეკემბერს 1904 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 569 3—1

გვარდიელი ლუკა დიმიტრის ძე გუგულაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის წიგნაკი, მიღებული 1 რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 570 3—

ივანე მიხეილის ძე გრეჩკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული მეთერთმეტე უბნის კომისარიატიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 561 3—1

ტფილისის სამხტროპოლიტო სასამართლოში გრიგოლ გაბრიელის ძე მელითაურმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ რაჟდენის ასული, რომელზედაც გრიგოლ მელითაურმა დაიწერა ჯვარი 1907 წელსა უკვალოდ დაიკარგა 1917 წლ., რის გამო ქმარი მისი გრიგოლ მელითაური თხოულობს, თვის ცოლისგან განქორწინებას. საქართველოს რესპ. არსებულ კანონთა ძალით, ყველამ ვინც კი იცის მარიამ რაჟდენის ასულის მელითაურის მისამართი, ვალდებულია განუცხადოს სამხტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში.

5 0 3—3

იონა მიხეილის ძე ბაქრაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა, კონტრ. მიღებული სახ. ქაღ. დამზადებელ ექსპედიციის მიერ. 571 3—3

თელავის ელექტრო-მექანიკური ამხანაგობა „ენერგია“ აცხადებს რომ ვარლამ გედევანის ძე ფერაძე ზემოთ აღნიშნულ ამხანაგობის წევრათ აღარ იმყოფება. 577 3—2

სილიბისტრო სიმონის ძე ჭელიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთ. სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი მიღებული ბახვის ეკლესიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 578 3—2

დაკარგულია გიროვნების მოწმობა № 1633 მიცემული ფილიპე სირისა და ალექსი ხუბუტიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 571 3—3

ავეტიქ მელკუმას ძე ხაჩუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობისაგან 1879 წ. № 568, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 514 3—3

დანიელ ფარსადანის ძე ისიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ქუთ. პოლიცმეისტერის სამართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 506 3—3

ზაქარია ხაჩატურის ძე არიუთინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის დავთარი 1919 წ. მე-7 უბ. რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა მდებარე სახლის. დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 429 3—3

ირინე კარპის ასული კაპრანოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. 10 უბნის კომისარიატიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 522 3—2

ვარლამ საჩინოს ძე გოგია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 23105. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 523 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.